სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

29 ნოემბერი, 2024 წ.

ბრძანება N 01-08/978

ბსუ-ს სტუდენტებისათვის ,,მწვანე სტიპენდიის" დანიშვნისა და გაცემის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე–13 მუხლის, ,,ბსუ-ს სტიპენდიების დანიშვნისა და გაცემის წესის დამტკიცების შესახებ'' ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2023 წლის 17 ნოემბრის N07-01/58 გადაწყვეტილების, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი „გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს" (შემდგომში - „ცენტრი") და ბსუ-ს შორის 2024 წლის 24 ოქტომბრის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის და ამავე მემორანდუმის 2.1. პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის თანახმად 2024 წლის 20 ნოემბერს გაფორმებული „მწვანე სტიპენდიის" პროგრამის ფარგლებში თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულების,, "მწვანე სტიპენდიის" მიმღებ სამაგისტრო პროგრამების სტუდენტთა შესარჩევი კონკურსის თაობაზე" ბსუ-ს რექტორის 2024 წლის 25 ნოემბრის N01-02/198 ბრძანების, რექტორის მივლინების შესახებ ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2024 წლის 28 ნოემბრის N01-14/668 ბრძანების, ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის მიერ სტიპენდიანტების შერჩევის თაობაზე ამავე ფაკულტეტის დეკანის 2024 წლის 27 ნოემბრის N1525539 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. 2024-2025 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში წინამდებარე ბრძანების **N1 დანართით** განსაზღვრულ ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ,,ფიზიკური გეოგრაფია და გარემოს მდგრადი განვითარების" **სამაგისტრო** საგანმანათლებლო **პროგრამის სტუდენტებს დაენიშნოს და გაიცეს ,,მწვანე სტიპენდია"** (1 სტუდენტს - 1500 ლარი, კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით).
2. წინამდებარე ბრძანების შესახებ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტმა აცნობოს სტუდენტებს (ბრძანება განთავსდეს მათ პირად საქმეებში) და სსიპ - „გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს''.
3. ბრძანება პერსონალური მონაცემების დაცვით განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (ველში ,,რექტორის ბრძანებები'').
4. ბრძანება დაეგზავნოს ბსუ-ს რექტორის მოადგილეს (ა. ბერიძე), ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიურ სამსახურს, იურიდიულ დეპარტამენტს.
5. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. №30).

რექტორის მოადგილე, პროფესორი
რექტორის მოვალეობის შემსრულებელი ა. ბერიძე

,, ბსუ-ს სტუდენტებისათვის ,,მწვანე სტიპენდიის“ დანიშვნისა და გაცემის თაობაზე “

ბსუ-ს რექტორის მოადგილის 2024 წლის 29 ნოემბრის N 01-08/978 ბრძანების N1 დანართი

ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ,,ფიზიკური გეოგრაფია და გარემოს მდგრადი განვითარების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტები, რომლებსაც 2024-2025 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრი დაენიშნა და გაიცემა ,,მწვანე სტიპენდია“

(1 სტუდენტს - 1500 ლარი, კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით).

N	სტუდენტის სახელი, გვარი	პირადი ნომერი	სწავლების წელი
1.	მონიკა ლიპარტია		,,ფიზიკური გეოგრაფია და გარემოს მდგრადი განვითარების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მე-2 სასწავლო წელი
2.	თინათინ რობაქიძე		,,ფიზიკური გეოგრაფია და გარემოს მდგრადი განვითარების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მე-2 სასწავლო წელი